BSB00450, SEEDGUARD: „აგროთესლების მცველები ბიომრავალფეროვნების, აგრობიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისებისთვის და კლიმატის ადაპტაციისთვის“

რეკომენდაციები საქართველოში სათემო სათესლე კოლექციებისა (Community Seed Collection) და ბოსტნეულის ტრადიციული ჯიშების პოპულარიზაციისთვის

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სათემო სათესლე კოლექციებისა და ბოსტნეული კულტურების ტრადიციული ჯიშების შენარჩუნების ხელშეწყობა საჭიროებს კოორდინირებულ და თანმიმდევრულ მოქმედებას როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე. პოლიტიკის დონეზე ერთ-ერთ მთავარ საჭიროებად იკვეთება ისეთი ეროვნული მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს **ადგილობრივი და ტრადიციული სათესლე ჯიშების აღრიცხვას, დაცვას, შენახვასა და გამრავლების ხელშეწყობას.**

ამჟამად საქართველოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ძირითადად კომერციული თესლის ბრუნვის რეგულირებაზეა ორიენტირებული, რის გამოც არასაკმარისად არის აღიარებული და დაცული ე.წ. „ფერმერთა თესლი“ და თემზე დაფუძნებული სათესლე ინიციატივები. შესაბამისად, მიზანშეწონილია სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც მკაფიოდ განასხვავებს კომერციულ და არაკომერციულ სათესლე საქმიანობას და სათემო თუ ფერმერულ ჯგუფებს მისცემს შესაძლებლობას, თესლი შეინახონ, გაამრავლონ და არაკომერციული მიზნით გაცვალონ დაცულად, მაგრამ ზედმეტი ადმინისტრაციული ბარიერების გარეშე.

ამასთან, მნიშვნელოვანია როგორც **ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტების დანერგვა,** ისე **ადგილობრივი, ტრადიციული და მკვიდრი ჯიშების შესახებ მონაცემთა სისტემური შეგროვება, მონიტორინგი და კონსერვაციის პროგრამების განვითარება.** აღნიშნულ პროცესი მოითხოვს მკაფიო ინსტიტუციურ კოორდინაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში, ხოლო ეროვნული ჩარჩო უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ მის ფარგლებში ადგილობრივი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.

ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **სათემო სათესლე კოლექციების ჰაბების შექმნას, ადგილობრივი თესლის ინვენტარიზაციას, ტრადიციული ჯიშების მუნიციპალური რეესტრების განვითარებას, სათესლე გაცვლის ღონისძიებების მხარდაჭერას და ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერებას.** ამ გზით შესაძლებელი გახდება აგრობიომრავალფეროვნების უკეთ დაცვა, ცოდნის გაზიარება და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე.

რეკომენდაციები ცენტრალური ხელისუფლებისთვის

1. **შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა ან სტრატეგია, რომელიც მიზნად დაისახავს ადგილობრივი და ტრადიციული სათესლე ჯიშების („ფერმერთა თესლის“) აღრიცხვას, დაცვას, შენახვასა და გაცვლის ხელშეწყობას.** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ძირითადად კომერციული თესლის ბრუნვის რეგულირებაზეა ორიენტირებული; მაგალითად, საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების, თესლისა და სარგავი მასალის გავრცელების ნებართვის შესახებ“ განსაზღვრავს თესლისა და სარგავი მასალის გაყიდვისა და გავრცელების სამართლებრივ ჩარჩოს.
2. სამართლებრივად განსაზღვროს და ოფიციალურად აღიარებული იქნას **სათემო და ფერმერული სათესლე კოლექციები**, რათა მათ ჰქონდეთ უფლება არაკომერციულ კონტექსტში შეინახონ, გაამრავლონ და გაცვალონ თესლი. ამჟამად მსგავსი თემზე დაფუძნებული მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ აღიარებული არ არის.
3. **დააწესოს ნებართვისა და რეგისტრაციის ისეთი რეჟიმი, რომელიც ერთმანეთისგან მკაფიოდ განასხვავებს კომერციულ და არაკომერციულ (სათემო) მიზნებს,** რათა შესაძლებელი გახდეს ადგილობრივი თესლის გაცვლა და გაზიარება რთული სალიცენზიო მოთხოვნების გარეშე.
4. შეიტანოს ცვლილებები ან დამატებები „ცხოველთა ახალი ჯიშებისა და მცენარეთა ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა მასში **მკაფიოდ აისახოს ფერმერის მიერ შენახული ადგილობრივი თესლისა და ტრადიციული ჯიშების დაცვის საკითხები,** რადგან მოქმედი რეგულაციები ძირითადად მხოლოდ ახალ და რეგისტრირებულ ჯიშებზეა ორიენტირებული.
5. **ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიოს იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ინარჩუნებენ ადგილობრივ სათესლე კოლექციებს,** მათ შორის გრანტების, სუბსიდიების და **თესლის ხარისხის შემოწმების, შენახვისა და კონსერვაციის ტექნიკური დახმარების მეშვეობით.**
6. **შექმნას ადგილობრივი, ტრადიციული და მკვიდრი ჯიშების ეროვნული მონაცემთა ბაზა ან რეესტრი,** რომელიც მოიცავს ინფორმაციას მათი სახელწოდების, წარმოშობის, გეოგრაფიული გავრცელებისა და მოყვანის ისტორიის შესახებ და ხელმისაწვდომი იქნება ფერმერებისთვის, მკვლევრებისთვის და მუნიციპალიტეტებისთვის.
7. **უზრუნველყოს ადგილობრივი სათესლე მრავალფეროვნების რეგულარული მონიტორინგი, გენეტიკური ეროზიის რისკების შეფასება და მათი დაცვისა და გამრავლების პროგრამების შემუშავება.**

8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში **განსაზღვროს პასუხისმგებელი ინსტიტუცია ან საკოორდინაციო ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს ადგილობრივი თესლის დაცვის პოლიტიკას და უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაციას.**
9. უზრუნველყოს, რომ **ეროვნული რეგულაციები შევსებული იყოს რეგიონული და ადგილობრივი დონის ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას ეროვნული ჩარჩოს ფარგლებში მხარი დაუჭირონ სათემო ინიციატივებს.**

რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

10. ფერმერთა ადგილობრივ ასოციაციებთან, საგანმანათლებლო ან აგრარულ ცენტრებთან თანამშრომლობით **მხარი დაუჭირონ სათემო სათესლე კოლექციების ჰაბების შექმნას, რომლებიც ადგილობრივ დონეზე იმუშავებს როგორც ადგილობრივი თესლის დაცვისა და არაკომერციული გაცვლის სივრცეები.**
11. ჩაატარონ ადგილობრივი თესლის ინვენტარიზაცია ტრადიციული და ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიშების (სახელწოდება, არეალი, მწარმოებელი, წელი) იდენტიფიცირებით და **შექმნან მუნიციპალური დონის რეესტრები ან მონაცემთა ბაზები** (ადგილობრივი ეკონომიკური განვიარების ხელშეწყობის ფარგლებში).
12. **მხარი დაუჭირონ სათემო სათესლე გაცვლის მექანიზმებს,** როგორიცაა ადგილობრივი „თესლის დღეები“, ბაზრობები ან ფერმერთა ბაზრები, სადაც ფერმერებს შეეძლებათ ტრადიციული თესლის გაცვლა და რეგისტრაცია.
13. **ორგანიზება გაუკეთონ ფერმერებისთვის შესაძლებლობების განვითარების და სასწავლო პროგრამებს** თესლის შენახვის, დასაწყობების ტექნიკის, მარკირების და ხარისხის შენარჩუნების საკითხებზე.
14. მუნიციპალურ ბიუჯეტებში **დანერგონ მცირე სუბსიდირების სქემები სათემო სათესლე კოლექციების ინიციატივებისა და მათთან დაკავშირებული ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების პროექტების მხარდასაჭერად**.
15. **ხელი შეუწყონ მეზობელ მუნიციპალიტეტებსა და ფერმერთა ჯგუფებს შორის რეგიონულ ქსელურ თანამშრომლობას,** რათა გაფართოვდეს ცოდნის გაზიარება და თესლის გაცვლა.
16. **ჩაატარონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები** ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრადიციული ჯიშების შენარჩუნების, აგრობიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის შესახებ.
17. მიიღონ ეროვნულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული მუნიციპალური რეგულაციები ან აქტები, მაგალითად **განსაზღვრონ სათემო ღონისძიებების ფორმატი და ორგანიზების წესები და უზრუნველყონ, რომ თესლის გაცვლა დარჩეს არაკომერციული.**

18. **გააძლიერონ თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან** მონაცემთა გაზიარების, ერთობლივი პროექტების, მონიტორინგის და ტრენინგებში მონაწილეობის გზით.

დოკუმენტი მომზადებულია ათეას (NALAG) მიერ, პროექტის **BSB00450 SEEDGUARD** ფარგლებში ·
ამ მასალის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი· მასალის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას· მასალის გავრცელება ნებადართულია წყაროს სავალდებულო მითითებით და ნებისმიერი ცვლილების აღნიშნვით·